ლრ

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

2 მარტი, შაბათი, 1991 წ.
№ 38 (10 451) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჩათრევას ჩა ყოლა არჩევს

საკავშირო რაგბის ფედერაციამ, პირველად სსრ კავშირის ისტორიაში, რესპუბლიკებს საერთაშორისო სარგებელზე გასვლის ნება დართო

ახლახან მოსკოვში გაიმართა მორაგბეთა საკავშირო კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა რუსეთის, უკრაინის, ლატვიის, ყაზახეთის, მოსკოვის, ლენინგრადისა და საქართველოს ფედერაციების 79 დელეგატი. მოსკოვში არ ჩასულან მხოლოდ ლიტვისა და უზბეკეთის დელეგაციები. დანარჩენ რესპუბლიკებში ზოგან რაგბის არ თამაშობენ, სხვაგან კი ფედერაცია რეგისტრაციაში იურიდიულად გატარებული არ არის.

უნდა განხილულიყო ორი საკითხი: ფედერაციის ახალი დებულების მიღება და ხელმძღვანელ ორგანოთა არჩევა.

რამდენიმე დღით ადრე საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდიუმმა ცხარე კამათის შემდეგ გადაწყვიტა, სრკ-ის დელეგაცია მოსკოვს გაეგზავნა.

ცხადი რომ გახდეს, რატომ ვიკავებდით თავს მოსკოვში გამგზავრებისგან, უნდა გავიხსენოთ ამ ორი წლის განმავლობაში მომხდარი ამბები. 1989 წელს სრკ-მ თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა და ოფიციალურად მიმართა საერთაშორისო საბჭოს, მიეღო მის რიგებში მოკავშირე წევრად. იმავე წლის ოქტომბერში საბჭომ განიხილა სრკ-ის თხოვნა და საკითხის გადაწყვეტა შემდგომისთვის გადადო, რადგანაც საბჭოთა ფედერაციის აზრი აინტერესებდა. ჩვენ, სიძნელეების მიუხედავად, „ცენტრს“ ვაღიარებინეთ სრკ-ის დამოუკიდებლობა და ეს დოკუმენტი ლონდონში საბჭოს შტაბ-ბინაში გავგზავნეთ. ამის შემდეგ ლონდონიდან გვაცნობეს, რომ ჩვენი საკითხი მალე დადებითად გადაწყდებოდა. ეს, რა თქმა უნდა, „ცენტრმაც“ შეიტყო და სასწრაფოდ აფრინა ლონდონში ტელექსი: სრკ-ის გადაწყვეტილება პოლიტიკურად ნაადრევია და თანაც ერთი ქვეყნიდან მხოლოდ ერი ფე-

იხ. მე.3 გვ.

ტურნირები და შედეგები

ჰავანა. ესპანეთის ქალაქ ლინარესის საერთაშორისო ტურნირზე მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ანატოლი კარპოვი დამარცხდა ლუბომირ ლიუბოევიჩთან და უაიშით დაამთავრა ბრძოლა არტურ იუსუპოვთან. ოთხი ტურის შემდეგ ექსჩემპიონს 1,5 ქულა აქვს. იგი ჯერჯერობით მეოთე ადგილზეა. ლიდერობს იუსუპოვი — 3,5 ქულა.

ფეხბურთი. მადრიდის „რეალი“ კამოეთეში ესპანეთის თასის გათამაშებას. მერვედფინალის განმეორებით შეხვედრაში იგი დამარცხდა „ატლეტიკოსთან“ — 0:1 (გოლი 56-ე წუთზე „რეალის“ კარში გაიტანა გერმანელმა შუსტერმა). პირველი მატჩი მადრიდია ამ გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ — 1:1, „ბარსელონამ“ დიდი ანგარიშით აჯობა მეორე დივიზიონის გუნდს „ლას-პალმასს“ — 6:0 და განაგრძობს ბრძოლას თასის გათამაშებაში.

მსოფლიო რეკორდი

მძლეოსნობა. ესპანეთის ქალაქ სევილიაში შემდინარე საერთაშორისო ტურნირში (დარბაზებში) ალჟირელმა ნურედინ მორსელიმ 1500 მეტრი 3 წუთსა და 34,18 წამში გაირბინა, რაც ახალი მსოფლიო რეკორდია. მორსელიმ 0,03 წამით გააუმჯობესა ინგლისელ პიტერ ელიოტის შარშანდელი რეკორდი, რომელიც მან ამავე დარბაზში დაამყარა. რეკორდის დამყარებიდ დღეს მორსელის 21 წელი შეუსრულდა.

მხედრებმა გამოიზავნულს

ეს შეჯიბრება უკვე ტრადიციულია და დიდ სტიმულს აძლევს თბილისელ მხედრებს. საქართველოში დღესდღეობით არ არის მეორე ქალაქი, სადაც შეიძლება ცხენოსნობაში ასეთი პირველობა გაიმართოს. თბილისში კი ქალაქის პირველობის ჩატარება მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც ჩვენმა განათლების სამინისტრომ გახსნა რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლა (დირექტორი ზ. დუნდუა).

თბილისელ ცხენოსანთა პირველობა პირად-გუნდურია. წლევანდელ ასპარეზობაში, რომელიც სულ ახლახან გაიმართა იპოდრომზე, როგორც ადრე, ამჟამადაც ძირითადად სპორტსახკომის საცხენოსნო ბაზისა და ზემოხსენებული სპორტსკოლის მხედრები ეცილებოდნენ პირველობას. ტრადიციულად უშეღავათო პაექრობაში სპორტსახკომის საცხენოსნო ბაზის მხედრებმა მოიპოვეს საერო გუნდური გამარჯვება.

პირადი პირველობა. დაბრკოლებათა გადალახვა. „გახსნის პრიზი“: 1. ზ. ათანელაშვილი, 2. ზ. გონჯილაშვილი, 3. დ. გაშიბაიაზოვი (სამივე—საცხენოსნო ბაზა). **„თბილისის თასი“.** 1. გონჯილაშვილი, 2. გაშიბაიაზოვი, 3. ა. ჭელიძე (განათლების სკოლა). **ორკეცი. უფროსი ასაკის ცხენებისათვის:** 1. ხ. ტუსიშვილი, ზ. ჯინჭარაძე, დ. გაგლოევი (სამივე—საცხენოსნო ბაზა). **ახალგაზრდა ცხენებისათვის:** 1. გ. ბანძავა, (განათლების სკოლა), 2. ტუსიშვილი, 3. ი. ყურუა (ორივე — საცხენოსნო ბაზა). **ცხენის გაწვრთნა. „საშუალო პრიზი № 1“:** 1. ი. ბაგდასაროვა, 2. ი. კოზინა, 3. ბაგდასაროვა (სათადარიგო ცხენით, სამივე—საცხენოსნო-სპორტული ბაზა). **„საშუალო პრიზი № 2“:** 1. ბაგდასაროვა, 2. კოზინა (ორივე — საცხენოსნო ბაზა), 3. ლ. თარხნიშვილი (განათლების სპორტსკოლა).

თორნიკე ბაქრაძე

სურათზე: ზ. გონჯილაშვილი ასპარეზობისას.

ეროვნული ნაკრები

„სენტ-ლუის ბლიუზი“ — აბსოლუტურად საუკეთესო შედეგით

ნჰლ-ის პროფესიონალ ჰოკეისტთა ჩემპიონატზე 64-ე ტური გათამაშდა. ოთხივე დივიზიონის გუნდებში აბსოლუტურად საუკეთესო მაჩვენებელი აქვს „სენტ-ლუის ბლიუზს“ — 85 ქულა.

დივიზიონებში კი ლიდერობა ჯერჯერობით ინარჩუნებენ:

„პატრიკი“. „ნიუ-იორკ რეინჯერსი“ — 32 მოგება, 10 ფრე, 22 დამარცხება, 74 ქულა.

„ადამსი“. „ბოსტონ ბრუინზი“ — 36 მოგება, 8 ფრე, 20 დამარცხება, 80 ქულა.

„ნორისი“. „სენტ-ლუის ბლიუზი“ — 39 მოგება, 7 ფრე, 18 დამარცხება, 85 ქულა.

„სმაითი“. „ლოს-ანჯელეს კინგსი“ — 37 მოგება, 7 ფრე, 20 დამარცხება, 81 ქულა.

როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, სტენლის თასისათვის ბრძოლაში წარმატების ყველაზე დიდი შანსი ამ ოთხ კოლექტივს ექნება.

საეჭვო გადაწყვეტილების მიუხედავად

ოთხშაბათს, ღამით, იტალიის ქალაქ სენ-ვინსენტში გაიმართა იუნიორ მოკრივეთა მატჩი მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის სამხრეთაფრიკელ უელკომ ნ'სიტასა და კოლუმბიელ ჰ. როხასს შორის, რომელსაც ზედმეტსახელად „შუგარ ბეიბის“ უწოდებენ. ამ ორთაბრძოლამ, რომელიც იბფ-ს ასოციაციის ეგიდით ტარდებოდა, ჭრიელს მოყვარულთა ცზოველი ინტერესი გამოიწვია. საქმე ის გახლავთ, რომ სამხრეთაფრიკელი მოკრივე მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ოფიციალურად ატარებს და მას გამარჯვებათა სარეკორდო რაოდენობა ჰქონდა მოპოვებული. სპეციალისტებ ფიქრობდნენ, რომ ფავორიტი ამჯერადაც იოლ გამარჯვებას მიაღწევდა, მაგრამ როხასმა მეტოქეს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია ბრძოლის დამთავრების შემდეგ მსაჯთა აზრი გაიყო და ბოლოს, დიდი კამათის შემდეგ, ჩემპიონს ერთობ საეჭვო გამარჯვება მიანიჭეს. მაგრამ, ასეა თუ ისე, ნ'სიტამ რეკორდიც შეინარჩუნა და ჩემპიონის ტიტულიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერლინი. 2000 წელი

როგორც ჩანს, ბერლინი სერიოზულად ფიქრობს 2000 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობას. ამ დღეებში ქალაქის მერიაში გაიმართა პრეს-კონფერენცია გერმანელი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის, რომელზეც მერმა განაცხადა, რომ სულ მალე ოფიციალურ განაცხადს წარუდგენს გაერთიანებული გერმანიის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ამის თაობაზე.

საკავშირო ჩემპიონატები ქალათბურთში

გამარჯვება სტუმრად

თბილისი „დინამოს“ ეაომა ქალათბურთელებმა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი დონეცკში ითამაშეს ადგილობრივ „შახტორთან“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 83:78.

გუშინ...

გ. ეგნატაშვილის სახელობის ქალათბურთის დარბაზში გაიმართა საკავშირო პირველობის მატჩი ქალათბურთელ ქალთა გუნდებს შორის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა უმასპინძლა მოსკოვის „დინამოს“. ანგარიშით 86:74 (50:37) გაიმარჯვეს ქართველმა ქალათბურთელებმა.

ჭატიანე

ლეგენდარულმა თურქმა მოჭიდავემ მუსტაფა დაღისტანლიმ 1959 წელს თეირანში უკანასკნელად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი 62 კგ წონაში და დაუმარცხებლად დატოვა სარბიელი, მას ბევრი მეტოქე ჰყავდა, რომლებიც ლიდერის როლს ჩემულობდნენ, მათ შორის იყო დაღისტანლის თანამემამულე ი. ფეზლევანი, აგრეთვე, ირანელი ნ. თავაქული, იაპონელი ტ. სატო, ამერიკელი ლ. ალენი. მაგრამ მსოფლიოს მომდევნო ჩემპიონატზე, რომელიც იოკოჰამაში გაიმართა (1961 წ), ოქროს მედალი ვლადიმერ რუბაშვილმა მოიგო.

სხვათა შორის, ეს ჩემპიონატი მრავალმხრივ სამაგალითო იყო საბჭოთა მოჭიდავეებისათვის, რომლებმაც სასტიკი მარცხი იწვნიეს გუნდურ ჩათვლაში (ირანელებმა 41 ქულა დააგროვეს, სსრკ-ის ნაკრებმა კი მხოლოდ 33). ამ წარუმატებლობის ფონზე ვლადიმერ რუბაშვილისა და ალი ალიევის გამარჯვებამ განსაკუთრებულად „გაიცინა“ (დანარჩენ წონით კატეგორიებში ოქროს მედლები ხვდათ ირანელებს ს. სეიპფურს, მ. სანატკარანს, ი. ჰაბიბის, მ. მეხტი-ზადეს, გ. ტახტის და დასავლეთგერმანელ ვ. დიტრიჰს).

არადა, საბჭოთა ნაკრები თითქოს არ იყო სუსტი მოჭიდავეებით დაკომპლექტებული. გუნდის ლირსებას იოკოჰამაში იცავდნენ: ალი ალიევი (I ადგილი), მიხეილ შაზოვი („უადგილოდ“ დარჩა), ვლადიმერ რუბაშვილი (I ადგილი), ელადიმერ სინიავსკი (II), მიხეილ ბეკმურზოვი (II), გურამ გობეჯიშვილი (V), ბორის გურევიჩი (II) და ალექსანდრე მედვედი (III). ამ ჩემპიონატში გამარჯვებით რუბაშვილმა მტკიცედ ღაიმკვიდრა ადგილი საკიდაო ელიტაში.



ერთი წლით ადრე კი სულ ახალგაზრდა, 23 წლის ვლადიმერმა პირველად სცადა ბედი ოლიმპიურ არბიელზე, „რომის ხალიჩა“ მისთვის ოსტატობის ბრწყინვალე სკოლა იყო და დიდად არ უდარდია, რომ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა მუსტაფა დაღისტანლისა და ბულგარელ სვეტ ივანოვის შემდეგ. სამაგიეროდ, ამ და სხვა უკვე აღიარებულ ფავორიტებთან ორთაბრძოლამ ბევრი რამ შეაძინა ახალგაზრდა, ცოდნას დახარბებულ ოსტატს.

ვლადიმერ რუბაშვილმა ხუთჯერ მოასწრო გამოსვლა საკავშირო ჩემპიონატში. 1961-1963 წლებში იგი ოქროს მედლებს დაეუფლა, 1960 წელს კი ბრინჯაოს პრიზიორი იყო. მას დიდი მომავალი ჰქონდა და, ვინ იცის, კიდევ რამდენ სიხარულს მოუტანდა გულშემატკივრებს, ჭიდაობის ქართველ ქომაგებს ბრმა შემთხვევა რომ არა. 24 წლის ასაკში ვლადიმერ რუბაშვილმა თითქმის ყველაფერს მიაღწია, მაგრამ მას კიდევ ჰქონდა გასავლელი საინტერესო სპორტული გზა. ჰქონდა გასავლელი, მაგრამ არ დასცალდა და ეს განგების ბრალი გახლდათ.

მასზე ამბობდნენ, ზღაპრული მონაცემების მოჭიდავე იყოო. ვლადიმერა სარბიელზე ხშირად მართლაც შეუძლებელი გაუკეთებია. მაზე ამასაც ამბობდნენ, ვეტერანების უტალანი იყოო. რუბაშვილის შემართებას ბრძოლის დროს მართლაც აღტაცებაში მოჰყავდა ყველა. იგი განუმეორებელი მოჭიდავე იყო და ასეთად დარჩა ათასობით გულშემატკივრის მოგონებაში.

სურათზე: ვლადიმერ რუბაშვილი მისთვის ჩვეულ სტილში ებრძვის მეტოქეს. [illegible] ფედერაციის [illegible] ვ. ფუბროვინს.

დათვისგორასთან ტრამპლინი არის...

● სათხილამურო სპორტის ახალი კერა

● ბორჯომის პრეფექტი რაიონში სპორტის ბედითაც ამთავითვე დაინტერესდა

● „შევარდენმა“ პირველი ჯგუფი გახსნა. ვინ იქნება შემდეგი?

ილიასეული კუდიგორისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ დღეს აქ ხალხმრავლობა იყო. სტუმრები ჩამოვიდნენ ბაკურიანიდან, ბორჯომიდან, თბილისიდან. უხაროდათ გულთბილ მასპინძლებს — ძაძრისელებს, საკირელებს, დგვარელებს. ბორჯომის რაიონის ეს სოფლები, ფაქტიურად, ერთიმეორეზეა „გადაბმული“ და საერთო სალოცავი აქვთ — წმინდა გიორგის ორგუმბათიანი ეკლესია.

— ეს წელსაა მიტანებული... ჩემსავით — ამბობს ძველი საკირელი, მართლაც რომ ღრმად პატივცემული ეგენო აიწურაძე. ბევრჯერ გადაურჩენია სოფელს ეს დიდებული ეკლესია უკეთურთა ხელყოფისაგან. მერე კი, რევოლუციის შემდეგ, როდესაც წმიდათაწმიდა სალოცავი... საწყობად უნდოდათ გადაექციათ, მთელი სოფელი ფეხზე ამდგარა — თოფებითა და ხელკეტებით დაუცავთ იგი.

...ქათქათა თოვლით თეთრად გადაპენტილი „მტრედის ბუდის“ მიდამოები, ასე უხვად რომ მიჰფენოდა ზამთრის მზის სხივები, ახალგაზრდების ჟივილ-ხივილს გამოეცოცხლებინა.

ყველას სურდა ეხილა პირველი ოფიციალური შეჯიბრება თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში.

— ისე, სიზუსტისათვის, გეტყვით, რომ შარშან, თებერვალში, აქ უკვე ჩავატარეთ საჩვენებელი ხტომები ბაკურიანელი სპორტსმენების მონაწილეობით. მაშინ უმცროსმა მიშა გავამ გაიმარჯვა — გვითხრა ბორჯომის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ჯუმბერ ბერიძემ —იმხანად ადგილობრივი ახალგაზრდებიდან შეირჩა ექსი მომავალი მხტომელი (ტაძრისელი ნიკო კავსაძე, დგვარელი თამაზ გოგოლიძე, საკირელები—სერგო და რამაზ სამსონიძეები, ნიკო აიწურაძე და ნუგზარ კურტანიძე), რომლებიც ზამთრის სპორტსმენთა უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკურ სკოლასთან არსებული ოლიმპიური რეზერვის ბაკურიანის ფილიალში ჩარიცხეს.

— აქაურ ახალგაზრდობას სპორტი იმთავითვე უყვარდა, — ამბობს საკირელი სპორტის ვეტერანი, სამთო ინჟინერი ცეზარ ჯავახიძე, — ბავშვობაში თხილამურებით ტრამპლინიდანაც ვხტებოდით. ფიზკულტურის მასწავლებლად ჩვენთან იმხანად ბაკურიანელი სპეციალისტი სიმონ დვალი მუშაობდა. მიხარია, რომ დღეს აქ ისევ გვაქვს ტრამპლინი. სასიამოვნოა ისიც, რომ შეჯიბრებას ესწრება ბორჯომის რაიონის პრეფექტი ბატონი ნიკოლოზ ხაჭაპურიძე. პირადად მე არ მახსოვს, რომ რომელიმე რაიონის ხელმძღვანელმა თავისი დანიშვნის პირველი დღეებიდანვე გამოიჩინოს ასეთი ინტერესი სპორტისადმი. ღმერთმა ქნას...

— მართლაც საუკეთესო ადგილია სპორტისათვის, — საუბარში ერთვება საქართველოს მხტომელ მოთხილამურეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ბეჟან ქუმარიტაშვილი, — ბორჯომიდან სულ 24 კილომეტრია. ხომ ხედავთ, ბაკურიანივით ეს დიდი ველიც, ნაძვებითა და ფიჭვებით დამშვენებული, მთებითაა გარშემორტყმული. ასე რომ, ჭარი აქაც იშვიათია. ეგებ მოგვიანებით ამ 15-მეტრიან ტრამპლინს გვერდში 25-იანი და 40-იანიც ამოვუყენოთ. ცხადია, ერთი პატარა საბაგირო გზაც იქნება საჭირო. ვფიქრობ, აქ ერთნაირი წარმატებით შეიძლება დავნერგოთ თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა, სამთო-სათხილამურო სპორტი, ნატურბანი და სათხილამურო რბოლაც.

...20 მონაწილე გამოვიდა რაიონის ღია პირველობაზე ახალგაზრდა მხტომელებს შორის. აქვე გათამაშდა ბაკურიანის სათხილამურო ბაზის თანამშრომლის, ახლახან ტრაგიკულად დაღუპული თემურ ჭარელის სახელობის პრიზიც.

თავი ისახელეს ადგილობრივმა სპორტსმენებმა, რომლებსაც ახლო წარსულში რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო მხტომელი, სპორტის ოსტატი ვალერი ბერიძე (მას ეხმარება ტაძრისელი რამინ ბალახაძე) ავარჯიშებს. საკმარისია ითქვას, რომ მისი მოწაფე, დგვარელი ვლადიმერ გოგოლაძე ბაკურიანელ ვლადიმერ კოზანაშვილთან ერთად ახალი ტრამპლინის რეკორდსმენთა გვერდზე, ორივემ ერთიანად — ეს — მეტრზე „ეფრინა“. ახალგაზრდა მწვრთნელის მეორე მოწაფე, საკირელი სერგო სამსონიძე კი მეორე ადგილზე გავიდა უმცროს ასაკში (1980 და მომდევნო წლებში დაბადებულნი). იგი 14 და 13 მეტრზე გადახტა (171,5 ქულა მოაგროვა).

ტოლი არ ჰყავდა ამ დღეს 11 წლის ბაკურიანელ მოსწავლეს ხვიჩა გურგენიშვილს. ნიჭიერმა სპორტსმენმა 14,5 და 15 მეტრზე იფრინა, 196,5 ქულა მოაგროვა და აბსოლუტური პირველობა მოიპოვა. მხოლოდ 1,5 ქულით ჩამორჩა მას თანაგუნდელი შოთა ხაჩატურიანი, რომელიც, თავის მხრივ, საუკეთესო იყო უფროს ასაკში (1975-1979 წლებში დაბადებულნი). საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე გავიდა ბაკურიანელი ვლადიმერ კოზანაშვილი — 193,5 (16 და 15,5). ეს შედეგი ამავე დროს მეორეა უფროს ასაკში. მესამე ადგილზე გავიდნენ (სხვადასხვა ასაკში) - ბაკურიანელები: დომა ბანდური — 192,5 (14,5 და 15) და გიორგი მურადიანი — 159 (12 და 13).

სპორტსაზოგადოება „შევარდენს“ აქ გახსნილი აქვს მხტომელთა ჯგუფი, რომელშიც ამჟამად 15 მფრინავი მოთხილამურე ვარჯიშობს. ისე კი ამ „სამთა მიკრორაიონში“ 200-ზე მეტი ბიჭი სწავლობს, რომლებსაც ასე უყვართ სპორტი...

ოთარ ნოზაძე

ჯანს მოლი

კვების პროგრამა

ცნობილი სპეციალისტები გვაფრთხილებენ: „შენი მუცელი — შენი სიკვდილია“. მართლაც, ჯანმრთელობის მოშლა, რომელიც კვებაში დაშვებული შეცდომებითაა განპირობებული, სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზია, მიუხედავად იმისა, რომ სიმსუქნეს უშუალოდ სიკვდილის მიზეზად არავინ ასახელებს. თანამედროვე ადამიანისთვის ჭარბი წონა ავადმყოფობის „საფუძვლიანი ბაზაა“, რისკის № 1 ფაქტორია.

ამიტომ, ჯანმრთელობის მთავარი ცნება ჩვენს დროში ასე უნდა ეღერღეს: „ნუ მორკლავთ თავს დანა-ჩანგლით! ზომიერად ჭამეთ! გამოავლინეთ თქვენი შეცდომები კვებისას!“

მოდით, ერთად ვცადოთ ამ შეცდომებში გარკვევა.

პირველი შეცდომა

ჩვენი ცოდვების სია: უპასუხა რა სპეციალური ანკეტის კითხვებს, 25-მა სწავლულმა — მედიკოსმა, დიეტოლოგმა, ფიზიოლოგმა, კვებაში დაშვებული 10 შეცდომა დაასახელა.

პირველი შეცდომა: ძალზე ბევრს ვჭამთ.

ჩვენ საკმაოდ ბევრ კალორიას ვიღებთ, განსაკუთრებით საღამოობით, დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში. ჩვენი კვება არ შეესაბამება ორგანიზმის მოთხოვნილებას — ბევრად იმაზე მეტს ვჭამთ, რამდენიც ენერგიის გასაცემადაა საჭირო. ჩვენი ფიზიკური დატვირთვა ხომ მინიმალურია, საკვები კი ამ დროს ისეთი კალორიულია, რომლის მოღებაც მხოლოდ მძიმე ფიზიკური შრომის დროსაა აუცილებელი.

ბავშვების 10 პროცენტზე მეტსა და 30 პროცენტამდე მოზრდილებს ჭარბი წონა აქვთ. საშუალოდ, ნორმაზე 14 პროცენტით მეტ საკვებს ვხმარობთ. დღეში ნაცვლად 2660 კილოკალორიისა, ვნთქავთ 3020, ანუ საჭიროზე 360 კილოკალორიით მეტს. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ყოველდღიურად სულ რაღაც 90 კილოკალორიის ზედმეტად მიღებას 5 წლის განმავლობაში საკუთარ წონაზე კიდევ 18 კილოგრამის დამატებამდე მივყავართ.

მეორე შეცდომა: ბევრ ცხიმს ვიღებთ.

საშუალოდ ყოველდღიურად ვხმარობთ 132 გრამ ცხიმს, როდესაც ნორმა 80 გრამია. ეს კი სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჩვენს ჯანმრთელობას.

მესამე შეცდომა: საკვებს არასწორად ვირჩევთ.

ჩვენი საკვები სრულყოფილი არ არის. იმიტომ, რომ არასაკმაო რაოდენობით ვიღებთ ვიტამინებს, ცოცხალ ბოსტნეულს, ხილს, ცილებს, რძეს, თევზს. სანაცვლოდ ჩვენს მენიუში უხვადაა თეთრი პური, შაქარლამა და ნაირგვარი ნუგბარი. ნატურალურ პროდუქტებს ცოტა რაოდენობით ვღებულობთ, კონსერვებს, ახალგაყინულ პროდუქტებსა და ნახევარფაბრიკატების ნაწარმს კი — ბევრს.

მეოთხე შეცდომა: ძალზე ბევრს ვსამთ.

ვეტანებით ძალზე ბევრ ალკოჰოლსა და ტკბილ სასმელებს (უმეტესად — ლიმონათს). საშუალოდ 8 პროცენტ კილოკალორიას ალკოჰოლური სასმელის მეშვეობით ვიღებთ. ყოველი მოზრდილი ადამიანი ყოველდღიურად 330 კილოკალორიას „სვამს“.

მეხუთე შეცდომა: არასწორად ვიკვებებით.

ვჭამთ არარეგულარულად, ძალზე სწრაფად, უკონტროლოდ. ხუთის ნაცვლად ღღეში სამჯერ ვჭამთ, ისიც, მოზრდილი ულუფებით.

მეექვსე შეცდომა: ბევრ ტკბილეულს მივირთმევთ.

ჩვენს საკვებში ტკბილეულისა და შაქრის წილი მეტად დიდია. 1971 წელს გერმანიაში 14,3 მილიონმა ბავშვმა 300 მილიონი მარკის ტკბილეული და ტკბილი სასმელები „შთანთქა“.

მეშვიდე შეცდომა: არასწორად ვინახავთ ბევრ პროდუქტს, თანაც არასწორად ვამზადებთ. ბევრ მარილს ვხმარობთ: მაშინაც კი ვწვავთ და ვხარშავთ, როდესაც უამისოდაც იოლად გავიდოდით.

მერვე შეცდომა: მსუნაგები ვართ. მაგალითად, საღამოს სატელევიზიო გადაცემებისას გემრიელი ვახშმისგან თავის შეკავება გვიჭირს.

მეცხრე შეცდომა: კვების შესახებ ძალზე ცოტა რამ ვიცით.

მეცნიერებამ კი დიდძალი მასალა შეკრიბა სწორ კვებაზე. ეს არის მონაცემები კალორიულ საკვებზე, ბასში შემავალ ცილებზე, ცხიმებზე, ნახშირწყლებზე, ვიტამინებსა და მიკროელემენტებზე, საკვების სწორ მომზადებაზე და ა. შ. ადამიანთა უმეტესი ნაწილისთვის ეს მონაცემები, სამწუხაროდ, ჯერჯერობით უცნობია.

მეათე შეცდომა: კვებისას ვივიწყებთ ასაკს.

6-დან 10 წლამდე ასაკის ყოველი მეოთხე ბავშვი ჭარბი წონისაა, ვინაიდან საჭიროზე 5-15 პროცენტით მეტ კალორიას იღებს. ხანშიშესული ხალხი ივიწყებს, რომ ადრინდელზე გაცილებით ნაკლები უნდა ჭამოს, ვინაიდან ენერგიასაც ნაკლებს ხარჯავს. უმეტესად მათ საკვები თვისებრივად არასრულფასოვანია, რაოდენობრივად კი — ზომო.

შედეგები და საშიშროება

ჭარბი წონის შედეგად ადამიანის ორგანიზმში შემდეგი ცვლილებები ხდება:

— ნეგატიური მექანიკური ზემოქმედება, გადატვირთვა და სახსრების ცვეთა;

— მიდრეკილება ვენების ვარიკოზული გაფართოებისკენ, თრომბოზებისკენ, ემბოლიებისკენ, სუნთქვის გაძნელებისკენ;

— მიდრეკილება თიაქარის გაჩენისკენ, გულის უკმარისობისკენ;

— გაზრდილი მიდრეკილება კანის ინფექციური დაავადებებისკენ;

— ქირურგიული ოპერაციებისას გართულებებისა და სიკვდილიანობის გაზრდის საფრთხე;

— ღვიძლის ციროზის წარმოშობა ამ ორგანოს გაცხიმოვნების გამო;

— გართულებანი მშობიარობისას;

— დაავადებანი, რომლებიც ნივთიერებათა ცვლასთან არის დაკავშირებული;

— წნევის აწევა;

— დიაბეტი;

— თირკმელების დაავადება, ქვები ნაღვლის ბუშტის სადინარებში;

— ნიკრისის ქარები;

— ცხიმოვან უჯრედთა რაოდენობის მომატება ბავშვებში (შეუქცევად პროცესად ითვლება);

— სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შემცირება.

სიცოცხლის ხანგრძლივობაზე ჭარბი წონის მავნე ზეგავლენას ადასტურებს მოყვანილი ცხრილები (ცხრ. 1 და 2), რომლებიც ფედერალური სტატისტიკური სამსახურის და ამერიკული სადაზღვევო კომპანიების მიერაა შედგენილი.

მამაკაცებში ჭარბი წონა სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას საშუალოდ ამცირებს 10 პროცენტით წონის ნორმის 13 პროცენტით გადაჭარბების დროს: 20-ით — 25 პროცენტით, 30-ით — 42 პროცენტით, ქალებში კი შესაბამისად 9,21-ით და 30 პროცენტით.

ცხრილი 1

რისკის ფაქტორი ჭარბი წონის მქონე მამაკაცებისთვის

ასაკი (წლებში)	დარჩენილი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა	სიცოცხლის ხანგრძლივობის მოსალოდნელი შემცირება (წლებში) ჭარბი წონისას:		
		10%	20%	30%
20	50,21	—6,5	—12,55	—21,08
25	45,65	—5,9	—11,4	—19,17
30	41,00	—5,3	—10,25	—17,2
35	36,35	—4,7	—9,08	—15,26
40	31,77	—4,1	—8,0	—13,3
45	27,33	—3,55	—6,8	—11,47
50	23,05	—2,99	—5,76	—9,68
55	19,02	—2,47	—4,75	—7,98
60	15,31	—1,99	—3,8	—6,4
65	12,06	—1,56	—3,0	—5,06
70	9,35	—1,21	—2,4	—3,9

ცხრილ

რისკის ...ტორი ჭარბი წონის მქონე ქალებისათვის

...ასაკი (წლებში)	...დარჩენილი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა	...სიცოცხლის ხანგრძლივობის მოსალოდნელი შემცირება (წლებში) ჭარბი წონისას:		
		10%	20%	30%
20	55,97	—5,0	—11,75	—16,79
25	51,14	—4,6	—10,7	—15,3
30	46,30	—4,16	—9,7	—13,89
35	41,50	—3,7	—8,7	—12,45
40	36,77	—3,3	—7,7	—11,0
45	32,14	—2,89	—6,7	—9,6
50	27,65	—2,48	—5,8	—8,29
55	23,32	—2,09	—4,89	—6,99
60	19,12	—1,72	—4,0	—5,7
65	15,18	—1,36	—3,18	—4,55
70	11,63	—1,0	—2,4	—3,48

წიგნიდან „ჯანმრთელობის შვიდი პროგრამა“

გავეცნოთ ენერგიის გაცემის ნორმებს სხვადასხვა ასაკისა და სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისთვის.

მამაკაცები:

მსუბუქი სამუშაოს დროს — 2550 კილოკალორია (ასაკი 25 წლიდან); 2400 (45 წლიდან); 2250 (65 წლიდან);

საშუალო დატვირთვის სამუშაოს დროს — დამატებით 75-150 კილოკალორია ყოველი საათის სამუშაოსათვის;

მძიმე სამუშაოს დროს — კიდევ 150-225 კილოკალორია ყოველი საათის სამუშაოსთვის;

ძალზე მძიმე სამუშაოს დროს — 225 დამატებითი კილოკალორია ყოველი საათის სამუშაოსთვის.

ქალები:

მსუბუქი სამუშაოს დროს — 2200 კილოკალორია (25 წლიდან); 2100 (45 წლიდან); 2000 (65 წლიდან); საოჯახო საქმიანობის აქტიურად წარმართვისას კიდევ 500-600 კილოკალორია;

საშუალო დატვირთვის სამუშაოს დროს — დამატებით 60-120 კილოკალორია ყოველი საათის სამუშაოსათვის;

მძიმე სამუშაოს დროს — კიდევ 120 კილოკალორია ყოველი საათის სამუშაოსათვის;

ენერგიის გაცემა ფეხმძიმე ქალთათვის — 2.400 კილოკალორია (ექვს თვემდე), 2.880 კილოკალორია (6 თვიდან).

წონის შემოწმება

პირველი ნაბიჯი წონის მოწესრიგებისკენ ესაა ნაბიჯი სასწორისკენ. წონის შემოწმება დილით, საუზმემდეა საჭირო.

საზოგადოდ, ნორმალურად ითვლება წონა, რომელსაც შემდეგი მარტივი არითმეტიკული მოქმედების შედეგად მივიღებთ: ადამიანის სიმაღლეს უნდა გამოვაკლოთ ციფრი 100.

იდეალურად ის წონა ითვლება, რომელიც 10 პროცენტით ნაკლებია ნორმალურზე (ქალებს — 15 პროცენტით). მყარი ჯანმრთელობის საუცხოო წინაპირობას იდეალური წონა ქმნის.

ჭარბ წონად ის ითვლება, რომელიც 10-20 პროცენტით მეტია ნორმალურზე. თუ წონა ნორმას 20 პროცენტზე მეტად აღემატება, მაშინ საქმე გვაქვს სიმსუქნესთან.

(დასასრული იქნება)

ჩათრევას ჩაყოლა არჩიეს

(დასასრული)

საწვრთნელი მატჩი

დიდი დრო აღარ რჩება საქართველოს მეორე ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყებამდე. რესპუბლიკის კლუბების უმეტესობა შავიზღვისპირეთში გადის საწვრთნელი ციკლის ბოლო ეტაპს.

სოხუმის „ცხუმის“ ფეხბურთელებმა მორიგი მატჩი აბოვიანის „კოტაიკთან“ გამართეს. შეხვედრა სოხუმელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით — 2:0 დასრულდა. თავი გამოიჩინეს გოგრიჭიანმა და მალანიამ.

ამ დღეს სოხუმელთა რიგებში გამოდიოდნენ: ქვაჩახია, ჩიხრაძე, ფარულავა, პაპავა, მალანია, ჭოხონელიძე, ჯიშკარიანი, ჯეჯელავა, გოგრიჭიანი, ცაავა, გოგიაშვილი.

თენგიზ პაპკორია,
„ლელოს“ სპკ. კორ.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ახლა თვით აკრიტიკებს

ხომ გახსოვთ, როგორი კრიტიკით ხვდებოდნენ ბრაზილიელი ჟურნალისტები ამ ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელის სებასტიან ლაზარონის ვადაწყვეტილებებს. ახლა, როცა ლაზარონიმ კარგა ხანია დატოვა ნაკრები და იტალიის „ფიორენტინას“ უდგას სათავეში, მას თვით მიეცა საშუალება გააკრიტიკოს თავისი მემკვიდრე.

— მე ფალკაოს საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმები მის გადაწყვეტილებას — მუშაობა, ფაქტობრივად, ნოლიდან დაიწყოს და პრინციპულად არ მიიწვიოს ნაკრებში უცხოეთში მოთამაშე ოსტატები, — განაცხადა ლაზარონიმ.

კარეკას „ᲛᲝᲠᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ“ სურვილები

როცა განთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელი კარეკა ოცდაათი წლის გახდა, მან ორი რამ ინატრა: 1. შესვლა კლუბი „ნაპოლი“ იტალიის ჩემპიონი გახდეს (ეს უკვე ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება); 2. ბრაზილიელები 1994 წელს მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. ვნახოთ!

„ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲔᲑᲡ ᲓᲐᲕᲣᲙᲕᲘᲠᲓᲔᲗ“

ცნობილი იუგოსლავიელი მწვრთნელი ვუიადინ ბოჟკოვი, რომელმაც დიდ წარმატებებს მიაღწია ვენუის „სამპდორიაში“, იტალიელი ჟურნალისტების აზრით, ცოტა არ იყოს, თავშეუკავებელი გახდა. როცა მან თავისი გუნდის ფეხბურთელს პერდიუმოს ნება დართო გადასულიყო ინგლისის „კოვენტრი სიტიში“, თან ასეთი დახასიათება დაურთო:

„წელიწადში ნახევარ მილიონ დოლარს ვუხდიდით და რას ვიღებდით სანაცვლოდ? — იმ ქუჩაზე, სადაც მე ვცხოვრობ, არაერთი ბიჭი, ვიცი, მასზე უარესად რომ არ თამაშობს ფეხბურთს“.

კლუბის პრეზიდენტ პაოლო მანტოვანის, ცხადია, მწვრთნელთან ურთიერთობის გაფუჭება სულაც არ აძლევს ხელს, მაგრამ მაინც საჯაროდ მიიჩნია განეცხადებინა მისი მისამართით: „გამოთქმებს უნდა დავუკვირდეთ“.

ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ „ᲥᲝᲜᲓᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲡᲐᲪ“ ᲡᲯᲘᲠᲓᲔᲑᲐᲗ

სან მარინოს, ამ „მინიატურული“ სახელმწიფოს ფეხბურთის ფედერაცია აპირებს სეროიზულად მოჰკიდოს ხელი ნაკრებს. ეს გუნდი ახლა, როგორც ცნობილია, ევროპის პირველობის შესარჩევ ჯგუფში თამაშობს. ამას წინათ მას სათავეში იხილი სპეციალისტი ჩაუდგა — ჯორჯი ლეონი.

გია ახალაძის ფოტო.

დერაციას შეუძლია საბჭოში გაწევრიანებაო. მოხდა ის, რისაც ყველაზე უფრო გვეშინოდა: საბჭომ ჩვენ უარი გვითხრა და თავის რიგებში სსრკ ფედერაცია მიიღო. ჩვენი პირველი ცდა მარცხით დამთავრდა. მივხვდით, რომ მარტო ვერაფერს გავხდებოდით და რესპუბლიკებთან მოლაპარაკება დავიწყეთ.

რვა თვის განმავლობაში არაერთხელ შევხვდით რუსეთის, უკრაინის, ლიტვისა და ლატვიის ფედერაციების წარმომადგენლებს და ვთხოვდით, მხარი დაეჭირათ ჩვენთვის.

კონფერენციის წინ დაახლოებით ასეთი მდგომარეობა იყო: უკრაინა ყოყმანობდა; რუსეთი მხარს გვიჭერდა, ოღონდ რადიკალურად არ უნდოდა საკითხის დაყენება; ლიტვა და ლატვია ყველაფერში გვეთანხმებოდნენ; ყაზახეთი და ლენინგრადი „ნეიტრალიტეტს იცავდნენ“; ხოლო მოსკოვის ფედერაცია ოპოზიციაში გვედგა.

სწორედ ძალთა ეს თანაფარდობა იწვევდა ეჭვს სრკ-ს პრეზიდიუმზე კამათის დროს, მაგრამ, გავითვალისწინეთ რა, რომ საბჭოთა კავშირში დღითი დღე იცვლებოდა პოლიტიკური ვითარება, მაინც გადავწყვიტეთ გამგზავრება. თბილისიდან და ქუთაისიდან თერთმეტი დელეგატი ჩავედით მოსკოვში.

კონფერენციის მუშაობას წარმართავდა სსრკ რაგბის ფედერაციის პრეზიდიუმი, რომელშიც 28 წევრიდან 26 მოსკოველია, ორი კი — რუსეთის წარმომადგენელი.

დაიწყო დებულების განხილვა. პრესაში პირველი თავის მესამე პუნქტი ასე იყო ჩამოყალიბებული: „სსრკ რაგბის ფედერაცია უფლებამოსილია მართოს, განავითაროს რაგბი საბჭოთა კავშირში და წარმოადგინოს სპორტის ეს სახეობა საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში და გაერთიანებებში (ირბ, ფირა და სხვა)“.

ფაქტია, რომ საქართველოს რაგბის კავშირის პოზიცია დღეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რუსეთის, მოსკოვისა და უკრაინის ფედერაციებისა და ამიტომაც, სიტყვით პირველად ჩვენ გამოვედით. 15-წუთიანი ახსნა-განმარტების შემდეგ მოვითხოვეთ ამ პუნქტის შეცვლა შემდეგი რედაქციით: „რესპუბლიკების ფედერაციებსა და კავშირებს უფლება აქვთ გახდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და გაერთიანებების (ირბ, ფირა და სხვა) წევრები“.

შემდეგ გამოვიდა ლატვიის დელეგაცია. მან, რა თქმა უნდა, მხარი დაგვიჭირა და თანაც განაცხადა, რომ ლატვია მხოლოდ მოკავშირე წევრად შევა ფედერაციაში.

არ ვიცი, რა მოხდა რუსეთის დელეგატთა შორის, მაგრამ მათი განცხადება მეზის გავარდნას ჰგავდა: „ჩვენ ყველაფერში ვეთანხმებით საქართველოს დელეგაციასო“.

უკრაინამ ალღო აუღო შექმნილ სიტუაციას და იგივე განაცხადა.

უნდა გენახათ, რა ხდებოდა ამ წუთებში დარბაზში: თავმჯდომარეს ენა დაება, პრეზიდიუმის წევრებს ფერი წაუვიდათ. არავინ ელოდა

მდგომარეობის ასე შემობრუნებას. ამ სიტუაციაში საკავშირო სპორტსახკომის წარმომადგენელმა ითხოვა სიტყვა და „რკინის არგუმენტი გვესროლა“: „ერთი ქვეყანა— ერთი ფედერაციაო“ და ა. შ. რიგრიგობით გამოდიოდნენ პრეზიდიუმის სხვა წევრებიც და აგრძელებდნენ დარიგებას. როდესაც გული იჯერეს და ეგონათ, ზეგავლენა მოვახდინეთ დელეგაციებზეო, ისევ „ძველზე დადგნენ“ ლენინგრადელი ივანიუხინი და სრკ-ის ვიცე-პრეზიდენტი ი. კიზირია.

ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ აშკარა იყო: კენჭისყრის შემთხვევაში დელეგატთა ორი მესამედი მხარს დაგვიჭერდა. ამ მომენტის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა.

თავმჯდომარე ყოყმანობდა, პრეზიდიუმს არ სურდა მესამე პუნქტის თაობაზე კენჭისყრის მოწყობა. ამ დროს ჩვენ კატეგორიულად განვაცხადეთ: „თუ კენჭისყრა ახლავე არ მოეწყობა, მაშინ ჩვენ მოვუწოდებთ რესპუბლიკებს, გავიდნენ საკავშირო ფედერაციიდან და შევქმნით ჩვენს ასოციაციას, რაც, ფაქტიურად, ფედერაციის დაშლას მოასწავებს“.

თავმჯდომარემ შესვენება გამოაცხადა. შესვენების დროს სხვადასხვა დელეგაციებმა მესამე პუნქტის შეცვლის თავ-თავიანთი ვარიანტები შეიმუშავეს, მაგრამ მოწონება მხოლოდ რუსეთისა და საქართველოს წინადადებებს ხვდა. ჩვენ ხაზს ვუსვამდით სიტყვა „წევრს“, რუსეთისაში ეს სიტყვა არ ეწერა, თუმცა აზრი, ფაქტობრივად, ერთი და იგივე იყო. კამათზე დროის დაკარგვა აღარ ღირდა და ჩვენ მოვხსენით წინადადება.

კენჭი უყარეს მესამე პუნქტის ძველ და ახალ რედაქციებს. ეს უკანასკნელი რუსეთმა ასე ჩამოაყალიბა:

„მოკავშირე რესპუბლიკების ასოციაციებს, კავშირებსა და ფედერაციებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციებისა და გაერთიანებების (ირბ, ფირა და სხვა) საქმიანობაში. სსრკ ფედერაცია ხელს უწყობს მათ ამ საქმიანობაში“.

რუსეთის წინადადებას მხარი დაუჭირა 76 დელეგატმა, ორმა თავი შეიკავა და მხოლოდ ერთი იყო წინააღმდეგი. სხვათა შორის, პრეზიდიუმის წევრებმაც აწიეს ხელი. ცხადია, ახსოვდათ, რომ მეორე საკითხი ხელმძღვანელთა არჩევნები იყო.

ხმების ამ აბსოლუტურმა რაოდენობამ, კრიზის ენით რომ ვთქვათ, ისეთ ნაკადინში ჩაგვიყენა, რომ ეროვნული ნაკრების შემდგომი მუშაობა კომედიას დაემსგავსა. თავმჯდომარე კენჭისყრის დროს მხოლოდ საქართველოსა და რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელებს უყურებდა. ეს ორი კაცი ხელს აწევდა თუ არა, თავმჯდომარე ხმებს აღარ ითვლიდა და იძახდა: წინადადება „მიღებულია“ ან „არაა“.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შესწორება შეიტანეს დებულებაში მე-5 თავის მე-6 პუნქტი ასე ჩამოყალიბდა:

„სსრკ ფედერაციის წევრებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ საკავშირო და საერთაშორისო ფედერაციების ყველა ორგანოსა და სტრუქტურული გაერთიანებების საქმიანობაში“ (ძველში არ იყო სიტყვა „საერთაშორისო“. დ. კ.).

სსრკ რაგბის ფედერაციის მმართველი ორგანო გახდა ფედერაციის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან თავმჯდომარე, მისი ორი მოადგილე, მწვრთნელთა, მსაჯთა და ვეტერანთა კომისიების თავმჯდომარეები და რესპუბლიკების ორ-ორი წარმომადგენელი.

სსრკ ფედერაციის თავმჯდომარედ ფარული კენჭისყრით აირჩიეს პროფესორი ა. კოკოშინი, აშშ — კანადის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მოსკოვის „ლოკომოტივის“ ყოფილი მოთამაშე. მან 59 ხმა მიიღო, ყოფილმა თავმჯდომარემ, გენერალ-მაიორმა ვ. ილუშინმა კი — 9.

ბოლოს, საქართველოს დელეგაციამ ახალარჩეულ პრეზიდიუმს მოსთხოვა ლონდონში ასეთი შინაარსის ტელექსის გაგზავნა: „კონფერენციის გადაწყვეტილებების საფუძველზე, სსრკ ფედერაცია თანახმა მიიღოს საერთაშორისო საბჭოს რიგებში საქართველოს რაგბის კავშირი და იმ რესპუბლიკების რაგბის ფედერაციები, რომლებიც ასეთი თხოვნით მიმართავენ საბჭოს“.

საკავშირო სპორტსახკომის წარმომადგენელმა ამაზე მოგვიგო: „ჯერ ახალი დებულება სპორტსახკომმა, როგორც ფედერაციის დამფუძნებელმა, უნდა დამტკიცოს და რეგისტრაციაში გაატაროსო“.

ვნახოთ, რა მოხდება. თუ სპორტსახკომი არ დამტკიცებს დებულებას, მაშინ ყველა რესპუბლიკა ერთად უჩივლებს მას სასამართლოში.

მიუხედავად ამისა, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: საკავშირო რაგბის ფედერაციამ პირველმა სსრკ სპორტის ისტორიაში, რესპუბლიკებს საერთაშორისო სარბიელზე გასვლის ნება დართო.

დავით ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ,
საქართველოს სპორტსახკომის რაგბის სახელმწიფო მწვრთნელი.

ევროპის ჩემპიონატი: ᲪᲝᲢᲐ ᲠᲐᲛ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ

ესპანეთი—მასპინძელი და ჩემპიონი

ევროპის თასის მეორე გათამაშება ფეხბურთში მოეწყო 1962-1964 წლებში. შეჯიბრება ისევე ოლიმპიური სისტემით ჩატარდა, ოღონდ აჯერად ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ევროპის 29 ქვეყანამ: არ უასპარეზიათ შოტლანდიელებს (ისინი ამ შეჯიბრებაში მესამე გათამაშებიდან ჩაებნენ), გფრ-ს (ამ ქვეყნის ფეხბურთის კავშირი საერთოდ უარყოფდა ევროპის თასის გათამაშებას) და კვიპროსს (რომელიც ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო უეფა-ს წევრი).

პირველი ეტაპის შესარჩევი თამაშებიდან განთავისუფლდა საბჭოთა კავშირის ნაკრები (როგორც თასის პირველი მფლობელი), დანარჩენი გუნდები კი კენჭისყრით დაწყვილდნენ: შვეიცია—ნორვეგია 2:0 1:1; ალბანეთი — საბერძნეთი (საბერძნეთმა უარი განაცხადა თამაშზე). დანია — მალტა 6:1, 3:1; ირლანდია — ისლანდია 4:2, 1:1; გდრ — ჩეხოსლოვაკია 2:1, 1:1; იტალია — თურქეთი 6:0, 1:0; ბულგარეთი — პორტუგალია 3:1, 1:3, 1:0; ესპანეთი — რუმინეთი 6:0, 1:3; საფრანგეთი — ინგლისი 1:1, 5:2; იუგოსლავია — ბელგია 3:2, 1:0; უნგრეთი — უელსი 3:1, 1:1; ჩრდ. ირლანდია — პოლონეთი 2:0, 2:0; ჰოლანდია — შვეიცარია 3:1, 1:1.

გამარჯვებულ 16 გუნდს შორის კვლავ მოეწყო წილისყრა — მეტოქეებმა შინ და სტუმრად ითამაშეს მერვედფინალურ და მეოთხედფინალურ მატჩებში.

მერვედფინალები: სსრკ — იტალია 2:0, 1:1; უნგრეთი — გდრ 2:1, 3:3; ავსტრია — ირლანდია 0:0, 2:3; ჰოლანდია — ლუქსემბურგი 1:1, 1:2 (ორივე თამაში, ლუქსემბურგის თხოვნით, ჩატარდა ჰოლანდიაში); ბულგარეთი — საფრანგეთი 1:0, 1:3; იუგოსლავია — შვეიცარია 0:0, 2:3; ესპანეთი — ჩრდ. ირლანდია 1:1, 1:0; დანია — ალბანეთი 4:0, 0:1. მეოთხედფინალები: შვეიცარია — სსრკ 1:1, 1:3; დანია — ლუქსემბურგი 3:3, 2:2, 1:0; ესპანეთი — ირლანდია 5:1, 2:0; უნგრეთი — საფრანგეთი 3:1, 2:1.

შეჯიბრების გადამწყვეტი ეტაპი (ნახევარფინალები და ფინალი) ოთხი გუნდის მონაწილეობით გაიმართა ესპანეთის ორ ქალაქში: მადრიდსა და ბარსელონაში.

პირველი ნახევარფინალი: სსრკ — დანია 3:0 (ბარსელონა). მეორე ნახევარფინალი: ესპანეთი — უნგრეთი 2:1 (მადრიდი). მესამე ადგილი დაიკავა უნგრეთის ნაკრებმა, რომელმაც დამარცხა დანიის გუნდი — 3:1.

ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ესპანეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები. მატჩი გაიმართა 1964 წლის 21 ივნისს მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე და დაესწრო 120 000 მაყურებელი. თამაში ესპანელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და დასრულდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 2:1 (1:1).

მატჩს სჯიდნენ: ა. ჰოლანდი (ინგლისი), ა. ბლავიე (ბელგია), ა. ზეჩევიჩი (იუგოსლავია).

გუნდების შემადგენლობა: ესპანეთი — ირიბარი, რიეელია, ოლიველია, კალეხა, ზოკო, ფუსტე, ამანსიო, ჰერედა, მარსელინო, სუარესი, ლაპეტრა. მწვრთნელი ხ. ვილიალონგა.

სსრკ — იაშინი, შუსტიკოვი, შესტერნიოვი, ბუდრიკი, ეფიმოვი, ანიჩკინი, ჩისლენკო, ვალ. ივანოვი, პონედელნიკი, კორნეევი, ჭუსაინოვი. მწვრთნელი კ. ბესკოვი.

გოლები: კ. ჰერედა (მე-6 წთ, ესპანეთი), გ. ჭუსაინოვი (მე-8, სსრკ), მ. მარსელინო (84-ე, ესპანეთი).

ევროპის თასის მეორე გათამაშების ბომბარდირი გახდა ო. მადესენი (დანია) — 11 გოლი.

ᲕᲘᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
მ. კავბაზის სახელობის სტადიონის მსმენელი.

რაში — განთქმული სნაიპერი

თუ რომელიმე სნაიპერს აქვს დღეს სახელი ფეხბურთის სამყაროში, ერთი მათგანი იან რაშიცაა. როგორც ინგლისელი ჟურნალისტები იუწყებიან, მას „ლივერპულის“ შემადგენლობაში (სხვა გუნდებში თამაშზე რომ აღარაფერი ვთქვათ), სხვადასხვა ტურნირებში გატანილი აქვს 250-ზე მეტი გოლი.

სკილაჩი — 1993 წლამდე

მსოფლიო ჩემპიონატის მომდევნო ოვეებში ცნობილი იტალიელი გოლეადორის სკილაჩის თამაშის ცნობა ძნელი იყო. მან თითქოს ყველა ღირსება დაკარგა. ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩებში სკილაჩი ამდენად უფერულად თამაშობდა, რომ მწვრთნელმა ვიჩინიმ მას კინაღამ ნაკრები დაატოვებინა. ახლა, ეტაპობა, მდგომარეობა ნელ-ნელა სწორდება და ფორვარდი იბრუნებს თავისი ძალების რწმენას.

„იუვენტუსთან“ დადებული ახალი ხელშეკრულების თანახმად, სკილაჩი ამ გუნდში 1993 წლის ზაფხულამდე დარჩება.

— ახლა იმაზე ფიქრილა დამრჩენია, — თქვა სკილაჩიმ, — როგორ გავიტანო გოლები.

ჩემპიონი — ფინალში

თუ რაოდენ დაძაბულად და საინტერესოდ - ჩატარდა დედაქალაქის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი, ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ ჩემპიონის ვინაობა მხოლოდ ბოლო, XI ტურმა გამოარკვია — თბილისის მე-18 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე, ოსტატობის კანდიდატი ინგა ხურცილავა (მწვრთნელი ვლადიმერ ურიდია) დაუზავდა ოსტატობის კანდიდატ ნინო მელაძეს, დააგროვა 9 ქულა და ყველასათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა.

გამარჯვებულს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა ოსტატობის კანდიდატი თამარ ფაჩულია (მწვრთნელი შალვა ფაჩულია).

8-8 ქულით III-IV ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა: მაია ლომინეიშვილმა და იამზე თვაურმა. უკეთესი კოეფიციენტის წყალობით მესამე საპრიზო ადგილი მ. ლომინეიშვილმა (მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი) მოიპოვა.

შეჯიბრების დებულების თანახმად, ჩემპიონი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პირველობის ფინალში, ხოლო II-IV ადგილების მფლობელები საქართველოს პირველობის შესარჩევ ტურნირში იასპარეზებენ.

რ. ჭარქაშაშვილი.
რეხპუბლიკური კატეგორიის მხაჯი.



იაპონიაში ხულ უფრო მეტი ადამიანი ეტანება ჩქარიმხნული რბოლების ტრასებს, რომლებიც დიდი ქალაქების ახლოს, ტყის მახივებშია მოწყობილი.

თუ ადრე ავტოდრომები, როგორც წესი, შეჯიბრებების ჩატარებისა და ახალი მოდელების გამოცდის ადგილი იყო, ახლა ისინი დასვენების ზონებად იქცა. აქ იერიბებიან იაპონელები, რომლებსაც ხურთ ქალაქურ გაწამაწიას გამოერიდონ და ხისწრაფის შეუზღუდავად ჩაიქროლონ მოასფალტებულ ტრასაზე. დასვენების ახალ ზონებში აშენებენ ფეშენებელურ სასტუმროებს, ჩოგბურთის კორტებს, საცურაო აუზებს, პარკებს, ხსნიან მუზეუმებს. აქ იმართება პოპულარული მუსიკალური კოლექტივების კონცერტები თუ თეატრალური დასების გამოსვლები. უკანასკნელი 8 წლის მანძილზე ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში აშენდა 8 ავტოდრომი.

როგორც ადგილობრივი ხელისუფალნი და ხალმიანი წრეები აღნიშნავენ, ავტოდრომები - შემოსავლის ხაუკეთესო წყაროს წარმოადგენენ და დიდ ხტიმულს აძლევენ პერიფერიებში განლაგებული ქალაქების ეკონომიკის განვითარებას.

• • •

ხურათზე: ახლახან აშენებული ავტოდრომი ქალაქ აიდის მახლობლად.

ეს-ესაა შევიტყვეთ...

ემზადებიან „პლეი-ოფისთვის“

პროფესიულ კალათბურთელთა ჩემპიონატის დამთავრებამდე მთელი ორი თვე დარჩა, მაგრამ ფავორიტები უკვე ემზადებიან მთავარი ბრძოლებისთვის, თუმცა... ზოგიერთ გუნდს ფატალურად არ სწყალობს ბედი. ასე მაგალითად, ნბა-ს ახლანდელი ჩემპიონის „დეტროიტ პისტონსის“ რამდენიმე წამყვანი კალათბურთელი ტრავმირებულია და ვერ გამოდის სათამაშოდ, ახლა იმავე დღეში აღმოჩნდა აიზია თომასი, რაც ბოსტონელთათვის დიდი დანაკლისია. ამის მიუხედავად, მწვრთნელი ჩაკ დეილი (იგი ამ დღეებში ამერიკის ოლიმპიური ნაკრების მთავარ დამრიგებლად დანიშნეს) ოპტიმისტურადაა განწყობილი და თავისი გუნდის მთავარ ამოცანად „პლეი-ოფის“ სერიებს მიიჩნევს.

ამასობაში ჟურნალისტებმა და სპეციალისტებმა დაასახელეს აღმოსავლეთ კონფერენციის „ოლ სტარზის“ შემადგენლობა. მასში მეთერთმეტედ მოხვდა პროფესიული კალათბურთის 34 წლის „ვეტერანი“ ლარი ბიორდი („ბოსტონ სელტიკსი“), აგრეთვე, მაიკლ ჯორდანი („ჩიკაგო“), აიზია თომასი („დეტროიტ პისტონსი“), პატრიკ ევინგი („ნიუ-იორკ ნიკსი“) და ჩარლზ ბარკლი („ფილადელფია-76“).

81 წლის დიდოსტატი

დიდოსტატმა ალექსანდრე კოტოვმა ერთხელ განაცხადა: „საჭადრაკო ტურნირები უნაიდორფოდ ბევრს დაკარგავდა!“. მართლაც, ნაიდორფის (მას 15 აპრილს 81 წელი შეუსრულდება) მონაწილეობა შეჯიბრებას რაღაც თავისებურ ხიბლს მატებს, საინტერესოს ხდის.

1946 წელს ჰოლანდიის ქალაქ გრონინგენში დიდი საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობდა მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატების მონაწილეობით. ნაიდორფმა განაცხადა, რომ აუცილებლად დაამარცხებდა ბოტვინიკს. ამან ირონიული ღიმილი გამოიწვია, მაშინ არგენტინელმა 100 დოლარზე დადო სანაძლეო (რაც იმ დროისათვის პატარა თანხა არ იყო) და წარმოიდგინეთ, მართლა მოუგო ბოტვინიკს.

ყოველთვის გენიალურად ვთამაშობ — ამბობს ნაიდორფი — გენიალურად ვიგებ, ან გენიალურად... ვაგებ!.

ნაიდორფს ბუენოს-აირესში „მიგელ ელ გრანდეს“ (დიდ მიგელს) უწოდებენ. როდესაც საბჭოთა ნაკრებმა (იგი იმ დროისათვის ძალიან ძლიერი იყო) არგენტინის გუნდს სძლია, ბუენოს-აირესის გაზეთები წერდნენ: „რა უნდა გაგვწყო ასეთ გუნდთან! ჩვენ ერთი ნაიდორფი გვყავს, მათ კი — ათი!“

„მიგელ ელ გრანდეს“ საჭადრაკო ბედი ფრიად თავისებურია. დაიბადა ვარშავაში, ებრაელთა ოჯახში, მენდელი დაარქვეს. პოლონურ სახელსაც ეძახდნენ — მეჩისლავს. 1939 წელს ნაიდორფი პოლონეთის გუნდის შემადგენლობაში შორეულ არგენტინას გაემგზავრა საჭადრაკო ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად. ამ დროს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ნაიდორფს მთელი ოჯახი გეტოში დაეღუპა. იგი კი სამუდამოდ არგენტინაში დარჩა. როცა დიდოსტატი ომის შემდეგ ვარშავაში ჩავიდა, ვერც ერთი ნათესავი ვერ ნახა, მაგრამ მოძებნა თავისი პოლონელი ძიძა და დიდი თანხა დაუტოვა.

საჭადრაკო აღმავლობა 40-იან წლებში არგენტინაში იმან გამოიწვია, რომ ამ ქვეყანაში არაერთი ცნობილი ევროპელი მოჭადრაკე ცხოვრობდა: შტალბერგი (შვეცია), ელისკაზესი (ავსტრია), პილნიკი (გერმანია). მათ ნაიდორფი საკმაოდ იოლად უმკლავდებოდა, არაერთხელ გახდა არგენტინის ჩემპიონი. საკურორტო ქალაქ მარ-დელ-პლატაში 1942 წლიდან ეწყობა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირები. აქ ნაიდორფმა მრავალი პირველი პრიზი დაიმსახურა.

მან საერთაშორისო აღიარება 1946 წელს მოიპოვა, როცა გრონინგენში უნგრელ ლასლო საბოსთან IV-V ადგილები გაიყო და სძლია ბოტვინიკს. ერთი წლის შემდეგ ნაიდორფმა სულ სხვა რამით მიიქცია ყურადღება: მან ბრაზილიაში ერთდროული თამაშის სეანსი გამართა ლაფაზე დაუხედავად 45 მოყვარულის წინააღმდეგ. ეს დიდი სენსაცია იყო. ნაიდორფი ერთ ოთახში იმყოფებოდა, სეანსის მონაწილეები კი დიდ დარბაზში. სპეციალური მიკრიკი ნაიდორფს ატყობინებდა მეტოქეთა სვლებს. გაზეთები იმ ხანებში ნაიდორფის ამ სეანსზე საკმაოდ ბევრს წერდნენ, თვით დიდოსტატმა კი განაცხადა, რომ ასეთ „ატრაქციონს“ აღარ გამართავდა — მთელი კვირის მანძილზე საჭადრაკო ფიგურები ელანდებოდა.

„დიდი მიგელი“ ორჯერ მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ასპარეზობაში. 1950 წელს ბუდაპეშტში იგი მეზუთე ადგილზე გავიდა. გაასწრო ყველა უცხოელ დიდოსტატს, სამი წლის შემდეგ კი შვეიცარიაში VI-VII ადგილები გაიყო. სხვათა შორის, იმ წლებში არაერთხელ დასმულა კითხვა : „რეშევსკი თუ ნაიდორფი?“ მათი მატჩი მეცრე უპირატესობით რეშევსკიმ მოიგო და საკითხიც გამორკვეულად ჩაითვალა, მაგრამ ნაიდორფმა იხტიბარი არ გაიტეხა: „როდესაც რეშევსკი ყაიმს გთავაზობთ, სანამ დასთანხმდებოდეთ, წინასწარ ნახეთ, ხომ არ უცხადებთ მას შამათს... ერთ სვლაში!“.

ნაიდორფი კეთილი და გულმავიწყი ადამიანია. 1960 წელს ლაიფციგის ოლიმპიადაზე მას ფიშერმა აწყენინა. ჰაბუკ ამერიკელს მოსაგები პოზიცია ჰქონდა, მაგრამ ნაიდორფი მახვილგონივრული მახეებით ართულებდა პოზიციას. ბოლოს ფიშერი შეცდა, დაკარგა უპირატესობა და გარდაუვალი ყაიმის წინაშე აღმოჩნდა. ფიცხმა ბობმ ფიგურები დაფიდან გადაყარა, ტლანქში ჩაწერა „ყაიმი“ და სადღაც გაიქცა. ნაიდორფი გამწარდა: „მერწმუხეთ, სანამ ცოცხალი ვარ, ფიშერი ვერასოდეს ითამაშებს სამხრეთ ამერიკაში!“ მაგრამ მიგელს მალე დაავიწყდა ეს სიტყვები. იგი შეურიგდა ფიშერს და თქვა: „რა ვუყოთ, დიდი მოჭადრაკეები ერთობ უცნაურები არიან“!.

ცნობილია, რომ დიდოსტატები ზოგჯერ „ვერ იტანენ“ რომელიმე მეტოქეს და სისტემატურად აგებენ მასთან. ნაიდორფისთვის სწორედ ასეთი მეტოქე იყო ტიგრან პეტროსიანი. სადაც არ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს ისინი, პარტია მაშინდელი მსოფლიო ჩემპიონის გამარჯვებით მთავრდებოდა. ნაიდორფი ხუმრობდა: „მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონთან ვაგებ!“.

ყველა მოჭადრაკეს აქვს პარტია, რომელსაც არასოდეს იგიწყებენ. როდესაც ნაიდორფს ეკითხებიან — რომელია თქვენი საუკეთესო პარტიაო, მიგელი მიუგებს: „ასეთი ჯერ არ მითამაშია!“ ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობითაა ნათქვამი. ნაიდორფი სიამოვნებით იგონებს 1935 წლის პარტიას გლუკსბერგთან. ეს შეხვედრა ახალგაზრდა ნაიდორფმა მეცხრამეტე საუკუნის რომანტიკოსების სტილით წარმართა. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ, როდესაც შავებით მოთამაშე ნაიდორფმა 22-ე სვლაზე დაუშამათა მეტოქე, გლუკსბერგს ოთხი (!) ზედმეტი მსუბუქი ფიგურა ჰქონდა, ამ პარტიამ, ცხადია, მთელი მსოფლიოს საჭადრაკო პრესა მოიარა. მას მიმმხიბველებმა „უკვდავი პოლონური პარტია“ უწოდეს.

ასაკის მიუხედავად, ნაიდორფი ჭადრაკისათვის თავის დანებებას არ აპირებს. რა თქმა უნდა, ახლა პრეტენდენტთა ასპარეზობის „დრო“ აღარაა, მაგრამ ვეტერანი მისთვის შესაფერის შეჯიბრებებში გამოდის.

გივი გამრეკელი

ჩემპიონობას გამოეთხოვება

აპრილში იაპონიაში უნდა გაიმართოს მსოფლიო ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. როგორც მიმმხილველები ფიქრობენ, მსოფლიო ჩემპიონის წოდებას ვერ დაიცავს იან-ოვე ვალდნერი, რომელსაც შვეციის სამხედრო სამინისტრო არ მისცემს ქვეყნის ფარგლების დატოვების ნებართვას.

საქმე ის არის, რომ 1 იანვრიდან ვალდნერი რვათვიან სავალდებულო სამხედრო სამსახურშია, ჯარისკაცს კი ნება არა აქვს, რომელიმე შეჯიბრებაში მიიღოს მონაწილეობა.

„ერთი თვე გვჭირდება“

როგორც კარლ ლუისის მენეჯერმა ჯო დუგლასმა გაზეთ „სანდი მეილის“ კორესპონდენტს განუცხადა, ერთ თვეში ზუსტდება ლუისისა და ბენ ჯონსონის შეხვედრის ყველა დეტალი.

კორესპონდენტმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ორივე მხარე განზრახ აბუნდოვანებს მოლაპარაკების პირობებს, ცდილობს ბევრი დეტალი პრესის წარმომადგენელთათვის ხელმისაწვდომი არ გახდეს.

დუგლასის ცნობით, ლუის-ჯონსონის შეხვედრის მსპონძლობაზე ესპანეთის გარდა, ჰოლანდიასაც აქვს პრეტენზია.

საბზადისიც ასეთი უნდა!

ინგლისის პოპულარულმა ყოველდღიურმა გაზეთმა „ასანი შიმბუნმა“ რომელიც 6-მილიონიანი ტირაჟით გამოდის, გახსნა თავისი ოფისი ბარსელონაში. ეს გაკეთდა მომავალი წლის უმნიშვნელოვანესი სპორტული ღონისძიების — 1992 წლის ოლიმპიადის უკეთ გაშუქების მიზნით.

15 მილიონ დოლარად

ინგლისის უდიდესმა ტელერადიო კომპანიამ „ბი-ბი-სი“-მ და უიმბლდონის ტრადიციული საჩოგბურთო ტურნირის თაოსნებმა ხელი მოაწერეს შეთანხმების, რომლის თანახმად, „ბი-ბი-სი“-ს 15 მილიონი დოლარის ფასად დაეთმო ამ შეჯიბრების გადაცემის მონოპოლიური უფლება.

ამერიკელი ტელეკომენტატორის აზრით

აშშ-ში კარგად ცნობილმა ტელეკომენტატორმა მური კარილომ განაცხადა, რომ უახლოესი წლები ქალთა ჩოგბურთში აღინიშნება შტეფი გრაფისა და მონიკა სელეშის დიდი კონკურენციით. კარილოს თუ დავუჯერებთ, „ვარსკვლავების განლაგება“ სელეშს ხელს უწყობს და იგი ამატომაც იგებს ამდენ მატჩს.

უნდა ითქვას, რომ ამ ტელეკომენტატორმა რამდენადმე შეიცვალა აზრი. ჩოგბურთის გულშემატკივრებს არ დავიწყებიათ, რომ 1990 წლის სეზონის დასაწყისში კარილო მოელოდა გრაფ — საბატინის დიდ მეტოქეობას, მაგრამ ეს პროგნოზი მცდარი გამოდგა. ახლა მიმმხილველი ლაპარაკობს იმის თაობაზე, რომ სელეშს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს 1985 წლიდან, როცა მან გაიმარჯვა „ორინჯ ბოულში“ (მსოფლიო პირველობა მოზარდთა შორის), სადაც ფინალურ მატჩში ჯობია ჯუდიტ ვისნერს. ამის შემდეგ იუგოსლავიელი საერთოდ გადაბარგდა აშშ-ში. აქ მან ფრიად სოლიდური საჩოგბურთო განათლება მიიღო.

მომდევნო წლებში, ექსპერტის აზრით, სელეშმა თანდათანობით უნდა აჯობოს გრაფს და თანამედროვეობის № 1 ჩოგბურთელი გახდეს. ზოგი მიმმხილველი ფიქრობს, რომ ეს ასე იოლად არ მოხდება და ამ დავაში უფრო ახალგაზრდა ოსტატებიც ჩაერევიან.

ვის გაუმართლებს?

როგორც ჰოროსკოპის მონაცემები გვიჩვენებენ — წელს სოფიის „ნაროდენ სპორტი“ — წელს, უნდა გაუმართლოს შემდეგ სპორტსმენებს: ფეხბურთელ რობერტო ბაჯოს; ჩოგბურთელებს — ბორის ბეკერსა და მანუელა მალეევას; მძლეოსნებს — ლეროი ბარელს, პოლ ერენგს, ჰაციერ სოტომაიერს; მოჭადრაკე... რობერტ ფიშერს.

რედაქტორი
თენგიზ ბაჩეჩილაძე

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. ჯავახიშვილი. კორექტორები: მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისათვის — 880010
თბილისი, 8. კოსტავას, 14,
ტელეფონისათვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების კონფიდენციალური — 98-97-55
სამდივანი — 98-97-52
ინფორმაციის კონფიდენციალური — 98-97-54.
„წერილი“ — 98-97-56, „ფიზიკა“ — 98-97-57.

ჩვენი ინდექსი
66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საქმიანობის“ ტალინი. 880009, თბილისი, 8. კოსტავას, 14. ოფსეტური ბეჭდვა, ოფსეტური ბეჭდვა, ხიზანიშვილის, 28.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისელ ავტორებს პასუხი არ ეგზავნებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20